საქართველოს კანონი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შრომის ანაზღაურების შესახებ

მუხლი 1

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე – 4 100 ლარი;

ბ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი – 3 400 ლარი;

გ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი – 3 100 ლარი.

მუხლი 2

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №56, 28.12.2005, მუხ. 424).

მუხლი 3

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
მ. სააკაშვილი
თბილისი,
2007 წლის 4 ივლისი.
№5207–რს